



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**

ოქმი № 8 „14“ 06 2019

**დადგენილება № 40**

სილაბუსის შემუშავების ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52-ე მუხლის პიველი და მე-2 პუნქტების და 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე -3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად,  
 აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივლისის N278 დადგენილებით დამტკიცებულ „სილაბუსის შემუშავების ინსტრუქციაში“ და აღნიშნულ ინსტრუქციაში აზნაცი „სწავლის შედეგები“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„სწავლის შედეგები:** სწავლის შედეგები (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) უნდა დაიწეროს ვრცლად, თქვენი საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 1-ის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში“ აღწერილი კომპეტენციების შესაბამისად ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, პროფესიული განათლების პარამეტრების მიხედვით. კერძოდ, შედეგში უნდა აისახოს დარგის ფარგლებში რა თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს გამოუმუშავებს სტუდენტს აღნიშნული კურსი, კურსის რა ძირითადი საკითხები ეცოდინება მას კურსის გავლის შემდეგ და კურსის სწავლების განმავლობაში რა ზოგადი უნარები (ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის, ლოგიკური დასკვნის, ანალიტიკური აზროვნების, წერის, დამოუკიდებელი აზროვნების, კვლევისა და კვლევისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების და სხვ) შეიძლება გამოუმუშავდეს სტუდენტს.“

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, ასოცირებული პროფესორი



მაკა ბერიძე